

მასალები ვასაძეთა საგვარეულოს ისტორიის შესახებ

გენეალოგიური კვლევის ცენტრი

„არიან - ქართლი“



თბილისი-2015

ქ ა ნ ა ძ ე ე ზ ი





გიორგი ვასაძისა და სხვათა ძალისხმევით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და არქივის მასალებში მოძიებული მასალებისა და ცნობების საფუძველზე შესაძლებელი გახდა „ვასაძეთა საგვარეულოს ისტორიის“ შედგენა.

თუმცა, მკითხველი დაინახავს, რომ ბევრი რამ ვასაძეთა გვარის ისტორიაში ჯერ კიდევ გამოურკვეველია და ბევრი რამ ჯერ შეუძლებელი, რადგან ყველა ჩვენი წარსულის დიდმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ არ მოიპოვება სრულყოფილი ცნობები. შეტანილია ის, რაც თანამედროვე ცოდნისა და კვლევა-ძიების მიხედვით გამორკვეულად უნდა ჩავთვალოთ.

მიუხედავად ამ ყველაფრისა უწმინდესი და უნეტარესი ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით 2015 წლის 25 ოქტომბერს შედგა საქართველოში და საქართველოს გარეთ

მცხოვრები ვასაძეების მუხვედრა, რომელსაც ყოველწლიურად ტრადიციული ხასიათი აქვს.

ნებისმიერი გვარის წარმოშობა, გამრავლება და განსახლება უშუალო და პირდაპირ კავშირშია ერის ბედთან, რადგანაც სწორედ ცალკეულ ქართულ საგვარეულო ისტორიათა კადმი, კრებული წარმოადგენს საქართველოს ბოლო ასწლეულების ისტორიას. თითოეული საგვარეულო ერის სიმდიდრეა, განუმეორებელი და თვითმყოფადია თავისი არსით. შესაბამისად, გვარში შემავალი ყოველი ადამიანიც ერის ისტორიის ნაწილია, მისი ჯვრის მტვირთველი. გვარის წინაშე ღირსების დაცვა, შესისხლხორცებული ჰქონდა საგვარეულოს თითოეულ წევრს, რამეთუ ოდითგან კარგი კაცობა კარგი გვარობის განმსაზღვრელი იყო.

ზოგიერთ რჩეულ გვარიშიღია ნამოღვაწარი უძველეს მატთანეთა ფურცლებზეა დაცული. ზოგიერთის ღვაწლი და საგმირო საქმენი კი ხალხის ხსოვნაშია შემონახული და თაობიდან თაობას გადაეცემა.

ქართლის ცხოვრების - საქართველოს ისტორიის ციხე-სიმაგრის მშენებლობაში თავისი წილი აგური ვასაძეთა ძირძველმა და სახელოვანმა გვარმაც დადო.

ქართული ისტორიოგრაფია ვასაძეთა და ვაცაძეთა მემკვიდრეობით სახელებს არ განასხვავებს. ისე როგორც ბევრი სხვა გვარები (მელაძე, მგელაძე, ვეფხვაძე, ლომაძე და სხვა) მემკვიდრეობითი სახელის ძირი - ცხოველის სახელწოდებასთან (ვაცი - მამალი თხა) ასოცირდება. საქართველოში ამჟამად ვასაძის გარდა, სხვა დერივატული (მსგავსფუძიანი) ფორმის `ვასა`, `ვაცა` - ძირიანი ქართული გვარსახელი არ გვხვდება (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე; `გვარ-სახელები საქართველოში`; თბ. 1997 წ; გვ. 84). გარდა ზედა მაჭახლის ხეობის, (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ვილაეთის, ბორჩხის ოლქში შედის) ვაცაძე-ნისა, რომლებიც დღეს თურქულ გვარზე (ქაია) იწერებიან.

ჩვენს ხელთ არსებული უძველესი ქართული სიგელ-გუჯარი, რომელშიც ვასაძეთა (ვაცაძე, ვაცაეთ) მემკვიდრეობითი სახელი მოხსენიება XV საუკუნით თარიღდება, რასაც ადასტურებს `ტბეთის სულთა მატთანის` ის ნაწილი, რომელიც ნუსხური დამწერლობითაა შესრულებული:

*ს`ახსე რეღეღთ ირქათაანზოხე ჟე დოსხე დეაყოთოხე
ჩეთოქთოს ყ`ნი ი`ნი*

ჩანაწერი ქარაგმების გახსნითა და მხედრული ტრანსლიტერაციით ასე იკითხება: „სულსა ვაცაეთ ნიკოლოზისა და მისისა მეუღლისა ნათელის შეუნდვენ ღმერთმან“.

XV-XVI საუკუნეებითაა დათარიღებული ის ნაწილი, რომელშიც კვლავ იხსენიება ვაცაძეთა გვარსახელი:

*ს`ახსე რეღესთოხე ირქათაანზოხე ჟე დოსხე დეაყოთოს
თოხეს ყ`ნი ი`ნი*

„სულსა ვაცასძისა ნიკოლოზისა და მისისა მეუღლის თინას შეუნდვენ ღმერთმან“.

ს`ახსე რეღესთოხე ირქათაანზოხე ყ`ნი ი`ნი

„სულსა ვაცაეთ ნიკოლოზისა და მისისა მეუღლისა ნათელის შეუნდვენ ღმერთმან“.

სახსე რეჯესტონსე იჟს ძე დონს დეაქოთონ დეაქონდონ
ყჳნი იჳნი

„სულსა ვაცასძისა ნიკოლოზისა შეუნდვენ ღმერთმან“.

სახსე სეძეშეოთონსე რეჯესტონსე იოქათათონსე ყჳნი
იჳნი

„სულსა სამადელისა ვაცასძისა ნიკოლოზისა შეუნდვენ ღმერთმან“.

სახსე რეჯესტონსე იჟს ძე დონს დეაქოთონ დეაქონდონ
ყჳნი იჳნი

„სულსა ვაცასძისა იოვანეს და მისის მეუღლის მარიამის შეუნდვენ ღმერთმან“.

სახსე რეჯესტონსე
ჟჳნი იჳნი ძე დონს
დეაქოთონსე დჳნი ყჳნი ი
ჳნი

„სულსა ვაცასძისა გიორგის და მისა მეუღლისა მარიამის შეუნდვენ ღმერთმან“.
(რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის
სანკტ-პეტერბურგის განყოფილება; ქართულ ხელნაწერთა ფონდები; P-10 (P-13)).

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული წერილობითი წყარო, რომელშიც
ვასაძეთა გვარსახელი დღევანდელი ფორმით გვხვდება XVII საუკუნის II
მეოთხედითარსდება.

XI საუკუნით თარიღდება ხელნაწერი წიგნი „სვინაქსარი“(კრებული, რომელშიც
შედიოდა წმინდანების მარტვილობა-ცხოვრებათა შემოკლებული რედაქციები),
რომელზეც მოგვიანებით, XVI-XVII საუკუნეებში მრავალი სხვადასხვა ხასიათის მინაწერია
დატანილი. ხელნაწერი წიგნის 63 v გვერდზე მხედრული დამწერლობით
შესრულებულ მინაწერ სულთა მოსახსენიებელში ვკითხულობთ:

„სულსა ვასაძისა მოძღურისა გედოსა და მისათა მამა დედათა შეუნდნეს ღმერთმან...“
(ხელნაწერთა ინსტიტუტი; A-97).

XVII საუკუნის II მეოთხედი ვასაძეთა საგვარეულოს აღზევების ხანად უნდა მივიჩნიოთ, რასაც ამ გვარის საერო და საეკლესიო სამსახურში მოღვაწეობა ადასტურებს. ეჭვგარეშეა, რომ იმ ხანად, საეკლესიო სამსახურში დგომას, შეძლებული ოჯახიშვილები თუ აღწევდნენ, აღზრდისა და სწავლა-განათლების შეძენა მხოლოდ ეკონომიურად ძლიერ, დაწინაურებულ საგვარეულოთა წევრთ შეეძლოთ.

ჩვენთვის საინტერესო მინაწერი, რომელშიც ძირად ზედა მაჰახლელ, სოფელ ეფრატელ ვასაძეთა, ყოფილ ვაცაძეთა საგვარეულოს გვარსახელი იხსენიება. აღსანიშნავია, რომ ვაცაძეთა მემკვიდრეობითი სახელი უკვე ვასაძის ფორმითაა დაფიქსირებული. შესაბამისად მინაწერი ვასაძეთა საგვარეულოს ნაწილის გურიაში სახლობის ხანას მიეკუთვნება, რადგანაც „სვინაქსარი“ იმ დროისათვის, სწორედ გურიაში ინახებოდა. ეს პერიოდი კი დაახლოებით XVII საუკუნის II მეოთხედს უნდა მოიცავდეს. ამასთანავე, „სვინაქსარზე“ დატანილ, დაახლოებით იმავე პერიოდის, მსგავსი ხელით შესრულებულ მინაწერებში მოხსენიებულ გვარსახელთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სულის მოსახსენიებლის ეს ნაწილი, აშკარად გურიაში უნდა შეედგინათ (უფრო ზუსტი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება). მინაწერში ღვთის წინაშე შენდობით მოხსენიებულ ეკლესიის სამსახურში მდგარი მოძღვარს (სასულიერო პირი - მღვდელი, ხუცესი; სულიერი მამა) გედეონ ვასაძეს აშკარაა, რომ რაღაც ღვაწლი მიუძღოდა იმ ეკლესიის მიმართ, რომელშიც იმ ხანად, ეს „სვინაქსარი“ ინახებოდა. თავისუფლად შესაძლოა, რომ მოძღვარი გედეონ ვასაძეს გურიის იმ ეკლესიაში მსახურობდა, რომელშიც იმხანად დაცული გახლდათ ხელნაწერი წიგნი და ღმრთისადმი ერთგულების სანუქვოდ (სანაცვლოდ) უნდა დაეტანათ მისი და მისი ოჯახის წევრთა სულის მოსახსენიებლები „სვინაქსარზე“ მინაწერი ცხადყოფს, რომ მოძღვარ გედეონ ვასაძე ეკლესიის სამსახურში მდგარა, რაც თავისთავად მის განსწავლულობაზე მიგვანიშნებს.

ჩვენს ხელთ არსებულ საარქივო-დოკუმენტურ მასალაში ზემო გურიას მოსახლე ვასაძენი XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მოიხსენიებიან. XIX საუკუნეში მოღვაწე დიდი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, 1873 წელს მოგზაურობდა გურიასა და აჭარაში და 1878 წელს სანკტ პეტერბურგში ქართველთათვის ეგზომ საშურ მასალაზე დაყრდნობით გამოქვეყნდა ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, რომელშიც ვასაძეთა გვარსახელი იხსენიება.

1756-1758, 1765-1771 ან 1776-1782 წლებით უნდა დავათარილოთ, გურიის მთავარის გიორგი V გურიელისა და მისი ვაჟების: სვიმონ და ვახტანგ ბატონიშვილთა მიერ „ერთგულ მსახურ“ იოანე ასათიანისა და მისი შვილებისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნი. საბუთში ასკანელ (სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში) აზნაურ ასათიანთა გლეხის, გაბრიელ ვასაძის ერთი კომლი იხსენიება: - მე (გიორგი V გურიელი) საძმო (იოანე ასათიანის უძეოდ გარდაცვლილი ძმის ბეჟანის ასათიანის ნაქონი ყმა-მამული) მამულს გთხოვდი და ჩემი ბრძანებით ერთი კომლი გლეხი გაბრიელ ვასაძე მისი „სახლ-კარით, ჭურ-მამულით“ დაუთმე იასელა ასათიანს; მაგრამ ახლა ამ წყალობის წიგნით პირობას გაძლევ, რომ არც მე, არც ჩემმა შვილმა არაფერი არ გთხოვოთ შენი ძმის ბეჟანის სოული მამულიდან. სიგელის მოწმეები: გიორგი, ბებურ და ზაალ ჯაყელები. საბუთი დაწერილია მდივან იესეს ხელით. დოკუმენტს ბოლოში უზის გიორგი V-ის ბეჭედი:

(*Ä. Äððäüçä; «Äððäüüð ðñññä íðððñðððä í î Äóðèè è Ääæäðä»; Naitêð-Ïðððäóððäü, 1878 ä; ñð. 208, 313*) .

XV ს ა უ კ უ ნ ი დ ა ნ მოყოლებული, ვიდრე XIX ს ა უ კ უ ნ ი ს III ათწლეულამდე შემდგარ ქართულ სიგელ-გუჯარში ვასაძენი (ვაცაძე) ჩანან ვითარცა მოწმენი და მისანდონი ქართველ მეფეთა, გურიის მთავარ-თა, ლიხთ-იმერეთის კათალიკოსთა, ეპისკოპოსთა, თავადთა, აზნაურთა და უაზნოთა (გლეხი). ღ მ რ თ ი ს ა დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა დ ა ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ თ ა ტ ა ხ ტ ი ს ძ ლ ი ე რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ვ ა ს ა ძ ე ნ თ ა (ვ ა ც ა ძ ე) ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო ს მ ე ო მ რ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს ჟ ა მ ს კ ო მ ლ ზ ე კ ა ც ა დ გ ა მ ო დ ი ო დ ნ ე ნ ე რ თ ი ა ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ლ ა შ ქ რ ი ს მ ო წ ი ნ ა ვ ე დ ა მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ს ა დ რ ო მ შ ო ე ბ შ ი , ხ ო ლ ო ჟ ა მ ს გ ა ნ დ გ ო მ ი ს ა : ც ა ლ კ ე რ მ , ი მ ე რ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო ს ლ ა შ ქ ა რ ს ი , ვ ა კ ი ს (ქ ვ ე მ ო ი მ ე რ ე თ ი ს) ს ა ს ა რ დ ლ ო შ ი , თ ა ვ ა დ წ უ ლ უ კ ი ძ ე თ ა დ რ ო შ ი ს ქ ვ ე მ დ ა ც ა ლ კ ე რ მ , გ უ რ ი ი ს ს ა მ თ ა ვ რ ო ს ლ ა შ ქ ა რ შ ი , გ უ რ ი ი ს მ თ ა ვ ა რ გ უ რ ი ე ლ თ ა დ რ ო შ ი ს ქ ვ ე მ .

ლიხთ-იმერეთში რუსთა იმპერიის ბატონობის ჟამს შედგენილ მრავალ საეკლესო ჩანაწერში, კამერალურ აღწერასა და სხვადასხვა სახის დოკუმენტაციაში იხსენიება იმ ხანად ძირითადად აჭარას, გურიასა და ქვემო იმერეთს მოსახლე ვასაძეთა გვარმოდენილობა.

ქვემოთ მოვიტანთ XIX საუკუნეში შემდგარ რამოდენიმე დოკუმენტს რომლებიც ეგზომ საინტერესოა ვასაძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის.

XIX საუკუნის სხვადასხვა პერიოდიდან, საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში იწარმოებოდა მრევლის დაბადების , ნათლობის , ქორწინების და გარდაცვალების აღრიცხვა. ჩვენთვის საინტერესოა ვასაძეთა საგვარეულოს წევრთა მიერ დასახლებული სოფლების ეკლესიების „მეტრიჩესკის წიგნში“ გაკეთებული ჩანაწერები: იმერეთის ზოგიერთი სოფლის ეკლესიაში შემონახულ საეკლესიო ჩანაწერთა მიხედვით, XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ვასაძეთა გვარჩამომავლობის წევრთ უცხოვრიათ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგვიშში - აზნაურ აბაშიძეთა შინამოსამსახურეთ; სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში - საბატონო გლეხებს; ვასაძენი ქალაქ ქუთაისის მცხოვრებთა შორის 1850 წლიდან მოიხსენიებიან (ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი; აღსარების მთქმელთა სიები; ფონდი 21; ანაწერი I).

1842-1845 წლებში გურიის უეზდის, ოზურგეთის უჩასტკის, სოფლის ასკანის წმინდის გიორგის სახელობის ეკლესიაში შემდგარ „მეტრიჩესკი“ წიგნების თანახმად, ტაძარში მღვდლად სიმონ ვასაძეს უმოღვაწია.

გარდასულ დღეთა დიდება და პატივი არც უახლოეს წარსულში, XIX-XX საუკუნეებში დაჰკლებია ვასაძეთა ნიჭიერ და შრომისმოყვარე გვარს, რომლის მრავალმა წარმომადგენელმა ნათელი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში. XIX საუკუნის II ნახევარში შექმნილ იმ ორგანიზაციათა შორის, რომლებსაც ამაგი გაუწევიათ ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში, საპატიო ადგილი უკავია 1879 წლის მარტში დაარსებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას“.

ამ ეროვნულ საქმის კეთებაში ჩაებნენ იმ დროს საქართველოს გულანთებულნი, რჩეულნი მამულიძვილნი, რომელთა გვერდით იდგნენ

ერმალო ლევანის ძე ვასაძე (ლიხაურის (1913 წლიდან) ვარლამ გაბრიელის ძე ვასაძე და ნესტორ თარხანის ძე ვასაძე (ბათუმის განყოფილების წევრი 1913 წლიდან), თეიმურაზ ბესარიონისძე ვასაძე - (ოზურგეთი, დაბადების თარიღი: 1902 წ; პარტიულობა: სკკპ(ბ) წევრი), (პარტიიდან გარიცხეს 1937 წელს, ხალხის მტრებთან კავშირის გამო; 1938 წლის 19 აპრილს თეიმურაზ ვასაძის დახვრეტას ხელს აწერენ: ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კავანოვიჩი, ა. ჟდანოვი; ბრალადედება: რომ იყო კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, მეამბოხე ორგანიზაციის წევრი, რომელიც ამზადებდა სამხედრო აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.)

კონტრევივოლუციური ორგანიზაცია მასრებიტადა იარალიტ. ამ დავალებიშ მესრულებიშ დროს კონტრევივოლუციური ორგანიზაციიშ ხელმძღვანელს გადასცა ცეცხლსასროლი იარალი; მუხლი: 58-1-ბ, 58-11; სასჯელიშ ზომა: დახვრეტა, პირადი ქონებიშ კონფისკაცია. დახვრეტის თარიღი: 1938 წელიშ 30 აპრილი. 1944 წელიშ 15 ნოემბრიშ ღამეს, საბჭოთა ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის: ბათუმის, ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონებიდან, განახორციელა მკაცრად გასაიდუმლოებული და მასშტაბური ოპერაცია: რეგიონის რამდენიმე ასული სოფელი ერთ ღამეში დაცარიელდა. ათეულობით ათასი კაცი ყოველგვარი ახსნა განმარტებიშ გარეშე შეყარეს სატვირთო მატარებელში და შუა აზიის გზას გაუყენეს. XX საუკუნის მიწურულს სამტრედიის მუნიციპალიტეტიშ სოფელ `იანეთში რეპატრიირებულ ქართველთა შორის ბაგბანოვები სანათესაოს ყველაზე ფართო წრეს ასახელებენ. მათ მხოლოდ საკუთარი და დედის გვარის მატარებელ ნათესაობასთან კი არა აქვთ საქორწინო აკრძალვა, სხვა ნათესავ მოყვრებთანაც. ისინი არ ქორწინდებიან ნალჩიკში მცხოვრებ შავაძეებზე, დღეს შახმურადოვი (გადასახლებიშ წინ შავაძეებიშ ერთმა განაყოფმა დაირქვა ერთი ოჯახიშ ბებიშ მამიშ სახელი - შახმურადი), არ ქორწინდებიან ასევე ნალჩიკში მცხოვრებ სისხლით ნათესავ ვასაძეებზე დღეს საფაროვებზე, მოყვარე იზნოზე და ბიძაშვილ კამალოვებზე ყოფილ ბახტაძეებზე („ქართველური მემკვიდრეობა“; XII; 2008 წელი. დავით შავიანიძე; `იანეთში მცხოვრები ქართველი რეპატრიანტებიშ ეთნოისტორიიდან (გვარსახელთა ეთნოგრაფიული მონაცემებიშ მიხედვით)). ამგვარად ნალ- ჩიკს მცხოვრები ვასაძენი დღეს საფაროვის გვარსახელს ატარებენ. X X ს ა უ კ უ ნ ე შ ი ვასაძეთა საგვარეულოს წევრთაგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია: შალვა ლუკას ძე ვასაძე (1906-1980), რომელიც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა მოსკოვისა და კავკასიის ფრონტებზე მის დივიზიას, რომლის მეთაურიც მან იყო „გმირებიშ დივიზიას“ უწოდებდნენ, ხოლო შალვა ვასაძეს „გმირებიშ კომისარს“. ბალყარეთის მთებში გმირულად დაღუპული კაპიტანი ბუხაიძე პოლკოვნიკ შალვა ვასაძის საბრძოლო მაზარაშია დაკრძალული.

გაიოზ შალვას ძე ვასაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ცნობილი მეცნიერ-მკვლევარი, სამედიცინო კიბერნეტიკის ფუძემდებელი საქართველოში. მის კალამს ეკუთვნის 340 სამეცნიერო ნაშრომი, მათშორის, 6 მონოგრაფია.

ნათელა შალვას ასული ვასაძე -პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, მეცნიერებიშ დამსახურებული მოღვაწე, პუშკინის სახელობიშ სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიშ რექტორი (1972- საქართველოს ისტორიაში პირველი ქალი, რომელიც უმაღლეს სასწავლებელს ჩაუდგა სათავეში), საქართველოს განათლებიშ მინისტრი (1986-1991), ი. გოგებაშვილის სახელობიშ პედაგოგიური საზოგადოებებიშ პრეზიდენტი (1991-1995), საქართველოს განათლებიშ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომიშ ავტორი, მათ შორის 6 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელო („პედაგოგიკის ისტორია“-1998 წ. და „პედაგოგიკა“, 2000 წ.).

იუზა შალვას ძე ვასაძე- სოფლის მეურნეობიშ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობიშ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობიშ მეცნიერებათა აკადემიის (1995) აკადემიკოსი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიშ მსოფლიო ეკონომიკის კათედრიშ პროფესორი (1993-1995), 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომიშა და 3 გამოგონებებიშ ავტორი.

ოთარ გაიოზის ძე ვასაძე - სკრენტონის უნივერსიტეტიშ (აშშ) პროფესორი, პერიოდულად კითხულობს ლექციებს გლობალურ ჯანმრთელობასა და ჯანდაცვის მენეჯმენტში. 2003 და 2013 წლებში მოსახლეობიშ ჯანმრთელობიშ დაცვაში შეტანილი

პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობისთვის დაჯილდოვებულია „ღირსების ორდენით“.

კარლო ნიკოლოზის ძე ვასაძე- ცნობილი მსახიობის, იური ვასაძის მამა, ოზურგეთის რაიკომის მეორე მდივანი, დაილუპა მეორე მსოფლიო ომში .

აკაკი ალექსის ძე ვასაძე - მსახიობი, რეჟისორი, სსრკ დამსახურებული სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, წითელი დროშის ორდენოსანი. (1923 წლიდან მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: შაჰ-აბასი („გიორგი სააკაძე“), მამასახლისი („მაგდანას ლურჯა“), ფარსმან სპარსი („დიდოსტატის მარჯვენა“), ყანდური („დათა თუთაშხია“) და სხვ.).

ბატონი აკაკი მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონშია დაკრძალული (1978).

თანამედროვე ბიზნესის უნარით გამოირჩევიან **ტარიელ ვასაძე და ლევან ვასაძე**, რომლებსაც დიდი დამსახურება აქვთ არამარტო ბიზნესის სფეროში, არამედ კულტურის, განათლების, სპორტის, ეკონომიკისა და სხვა ეროვნული სახალხო მეურნეობის განვითარების სფეროში. მათი პირადი დაფინანსების ხარჯზე, საქართველოში აშენდა მრავალი ეკლესია, მათი დახმარება არ აკლდებათ ომისა და შრომის ვეტერანებს, შშმ პირებს, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს, უმაღლეს სასწავლებლებს.

როლანდ (იოანე) გრიგოლის ძე ვასაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ვასილ ვასაძე- ოზურგეთში დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის საქმის ფუძემდებელი, ერთ-ერთი ღვაწლმოსილი ქართველი პედიატრი. აქტიური წვლილი შეიტანა ბახმაროსა და დაბა ურეკის კურორტად აღიარების საქმეში. მედიცინაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მის სახელს ამშვენებს მრავალი მედალი და ჯილდო, მისი სახელი შესულია საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს `წარჩინებული მედმუშაკის „საპატიო წიგნში“, ამაყად ატარებდა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდებას.

ვასაძეების გვარში ეს არ გახლავთ იმ სახელების სრული ჩამონათვალი, რომლებიც ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწვიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სფეროში, როგორცაა კულტურა, ხელოვნება სპორტი, მედიცინა და სხვა.